

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“

სამეთვალყურეო საბჭოს

მმართველობისა და დანიშვნების კომიტეტის დებულება

უფლებამოსილება და მიზანი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი სააქციო საზოგადოების - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ („კომპანია“) სამეთვალყურეო საბჭოს („სამეთვალყურეო საბჭო“) მმართველობისა და დანიშვნების კომიტეტი („კომიტეტი“) შეიქმნა „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ 2021 წლის 27 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

„კომიტეტის“ ძირითადი მიზანია დახმარება გაუწიოს „სამეთვალყურეო საბჭოს“ შემდეგი საკითხების ზედამხედველობაში: (1) „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრის, „გენერალური დირექტორის“, „დირექტორთა საბჭოს“ შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და კვალიფიციური პირების მოძიება და რეკომენდირება „სამეთვალყურეო საბჭოს“, „გენერალური დირექტორის“, „დირექტორთა საბჭოს“ არჩევნებში ან განმეორებით არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, (2) „სამეთვალყურეო საბჭოს“, მისი კომიტეტებისა და „დირექტორთა საბჭოს“ შემადგენლობის განსაზღვრა და კრიტერიუმების განხილვა, (3) „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და „გენერალური დირექტორის“ საქმიანობის ეფექტურობის შეფასების პროცესის დადგენა და შეფასების შედეგების განხილვა, და (4) „კომპანიის“ „კორპორატიული მართვის კოდექსის“ შემუშავება და დანერგვა.

„კომიტეტის“ ზემოაღნიშნული მიზნისა და ქვემოთ მოცემული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად, „კომიტეტს“ ენიჭება უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს „სამეთვალყურეო საბჭოს“, „გენერალური დირექტორისა“ და „დირექტორთა საბჭოს“ ნომინირების ან „კომპანიის“ მმართველობით საკითხებს და ყველა დასაქმებულს ეძლევა მითითება, ითანამშრომლოს მასთან, „კომიტეტის“ წევრების მოთხოვნის საფუძველზე. „კომიტეტი“ უფლებამოსილია, „კომპანიის“ ხარჯით, დაიქირაოს და დაამტკიცოს სპეციალური იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვის ან სხვა კონსულტანტების ან ექსპერტების მომსახურების საფასური და დაქირავების სხვა პირობები, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლის ნაკისრი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისთვის. ამასთან, „კომპანია“ გამოყოფს „კომიტეტს“ მიერ განსაზღვრულ შესაბამის დაფინანსებას იმისათვის, რომ „კომიტეტმა“ გაიღოს მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯები, რაც საჭირო ან მიზანშეწონილია „კომიტეტის“ მიერ მისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისთვის.

შეზღუდვები

მართალია „კომიტეტს“ ეკისრება „მმართველობისა და დანიშვნების კომიტეტის“ დებულებით („დებულება“) განსაზღვრული მოვალეობები და პასუხისმგებლობები, მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებში არ შედის „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციებისა

და კორპორაციული პოლიტიკის დაცვის უზრუნველყოფა, რაც „კომპანიის“ დირექტორთა საბჭოს წევრების პასუხისმგებლობაა, რომელსაც ხელმძღვანელობს „გენერალური დირექტორი“ („დირექტორთა საბჭო“).

შემადგენლობა

„კომიტეტი“ უნდა შედგებოდეს „სამეთვალყურეო საბჭოს“ სულ მცირე სამი წევრისგან, ყველა მათგანი უნდა იყოს დამოუკიდებელი, როგორც ამას მოითხოვს „კომპანიის“ „კორპორაციული მართვის კოდექსი“.

„კომიტეტის“ წევრებს, მათ შორის „კომიტეტის“ თავმჯდომარეს („თავმჯდომარე“) ნიშნავს „სამეთვალყურეო საბჭო“, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ იქამდე, სანამ სათანადო წესით არ აირჩევიან და დამტკიცდებიან მათი შესაბამისი შემცვლელები, ან ასეთი წევრის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადადგომამდე ან გათავისუფლებამდე. „სამეთვალყურეო საბჭოს“ უფლება აქვს, მიზეზით ან უმიზეზოდ, გაათავისუფლოს „კომიტეტის“ ნებისმიერი წევრი დაკავებული თანამდებობიდან. იმისათვის, რომ სათანადოდ და ეფექტიანად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობები და პასუხისმგებლობები, „კომიტეტის“ წევრებს უნდა ჰქონდეთ ან მიიღონ შესაბამისი ცოდნა „კომპანიის“ საქმიანობის, მათ შორის ასეთი საქმიანობისთვის დამახასიათებელი და/ან მასთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

„კომიტეტს“, მისი გადაწყვეტილების, უფლებამოსილებისა და მიზნის შესაბამისად, ეკისრება შემდეგი მოვალეობები და პასუხისმგებლობები (რომელიც თუ სხვაგვარად არ არის სპეციალურად მითითებული, უნდა შესრულდეს უწყვეტად, პერიოდულად, დროგამოშვებით და/ან როგორც ამას მიუთითებს ან დაადგენს „თავმჯდომარე“ ან მოქმედი კანონმდებლობა ან რეგულაცია):

1. „კომიტეტმა“ უნდა მოიძიოს და რეკომენდაცია გაუწიოს „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და „გენერალური დირექტორის“ კანდიდატებს არჩევისთვის ან ხელახლა არჩევისთვის „კომპანიის“ აქციონერთა საერთო კრებაზე ან „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ, შემთხვევის შესაბამისად, ან „სამეთვალყურეო საბჭოში“ არსებული ნებისმიერი ვაკანსიის შესავსებად დანიშვნის მიზნით, „კომიტეტის“ მიერ შემუშავებული და „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ დამტკიცებული კრიტერიუმებისა და „კომპანიის“ „კორპორაციული მართვის კოდექსით“ და წინამდებარე „დებულებით“ განსაზღვრული პოლიტიკისა და პრინციპების, მათ შორის პერსონალური და პროფესიული კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტების შესაბამისად. „კომიტეტი“ პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს „სამეთვალყურეო საბჭოს“ აღნიშნული ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ. „კომიტეტი“ განიხილავს „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და „გენერალური დირექტორის“ კანდიდატებს, რომლებიც რეკომენდებულნი არიან აქციონერ(ებ)ის მიერ და გამოიყენებს იგივე კრიტერიუმებს და დაიცავს არსებითად იგივე პროცესს მათი განხილვისას, როგორც ეს ხდება სხვა კანდიდატების განხილვის შემთხვევაში. „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ „კომიტეტის“ მიერ რეკომენდებული კანდიდატის დამტკიცების შემდეგ, მოწვევა „სამეთვალყურეო საბჭოში“ და

„გენერალური დირექტორის“ თანამდებობის დასაკავებლად (აქციონერის ნებართვის საფუძველზე, რამდენადაც ეს საჭიროა) კანდიდატს ეგზავნება „კომპანიის“ „სამეთვალყურეო საბჭოს“ თავმჯდომარის მიერ.

2. „კომიტეტი“ შეიმუშავებს, „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ დასამტკიცებლად, შესაბამის კრიტერიუმებს (მათ შორის გამოცდილება, კვალიფიკაციები, უნარები, თვისებები ან მრავალფეროვნება „კომპანიის“ მიმდინარე საქმიანობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით), რომლებიც მოეთხოვება „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრებსა და „გენერალურ დირექტორს“ და ყოველწლიურად განიხილავს „სამეთვალყურეო საბჭოსთან“ ერთად „სამეთვალყურეო საბჭოს“ მოქმედ შემადგენლობას აღნიშნული კრიტერიუმებისა და მოსალოდნელი საჭიროებების გათვალისწინებით. „კომიტეტი“ ასევე განიხილავს „დირექტორთა საბჭოს“ წევრობის კრიტერიუმებს.
3. „კომიტეტი“ განიხილავს „კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას კონკრეტული გამოცდილების, კვალიფიკაციების, თვისებების ან უნარების შესახებ, რომელთა საფუძველზე მიიღება დასკვნა, რომ თითოეულმა კანდიდატმა და ნომინირებულმა პირმა უნდა დაიკავოს „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრის ან „კომპანიის“ „გენერალური დირექტორის“ თანამდებობა.
4. „კომიტეტი“ პერიოდულად განიხილავს „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრთა რაოდენობას და რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ შესაბამისი ცვლილებების შესახებ. „კომიტეტი“ ასევე განიხილავს და გასცემს რეკომენდაციებს „დირექტორთა საბჭოს“ წევრთა რაოდენობისა და სტრუქტურის შესახებ.
5. „კომიტეტი“ რეკომენდაციას უწევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ კანდიდატებს, რომლებიც შეასრულებენ „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ შექმნილი თითოეული კომიტეტის (მათ შორის ამ „კომიტეტის“) წევრების ფუნქციებს, როგორც ყოველწლიურად, ასევე კომიტეტში არსებული ვაკანსიების შევსების საჭიროების მიხედვით. გარდა ამისა, „კომიტეტი“ რეკომენდაციას გაუწევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ წინაშე თითოეული კომიტეტის წევრს ასეთი კომიტეტის „თავმჯდომარის“ თანამდებობაზე.
6. „კომიტეტი“ პერიოდულად, როგორც მიზანშეწონილად ჩათვლის, თუმცა არანაკლებ წელიწადში ერთხელ, განიხილავს და ხელახლა აფასებს „კორპორაციული მართვის კოდექსის“ ადეკვატურობას და „სამეთვალყურეო საბჭოს“ წარუდგენს რეკომენდაციებს შეთავაზებული ცვლილებების დასამტკიცებლად.
7. „კომიტეტი“ განიხილავს „დირექტორთა საბჭოს“ წევრებისა და „გენერალური დირექტორის“ თხოვნებს იმ იურიდიული პირების (კერძო ან სახელმწიფო) სამეთვალყურეო ან აღმასრულებელ საბჭოში გაწევრიანების შესახებ, რომლებიც არ არიან აფილირებულნი „კომპანიასთან“, და რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ ამგვარი თხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე.
8. „კომიტეტი“ შეიმუშავებს თვითშეფასების მეთოდოლოგიას, რომელიც გამოიყენება „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და მისი კომიტეტების მიერ, ყოველწლიურად იწყებს და აკონტროლებს „საბჭოსა“ და მისი კომიტეტების მიერ მათი საქმიანობისა და ეფექტურობის თვითშეფასების პროცესს და ასეთი შეფასების შედეგებს წარუდგენს „სამეთვალყურეო საბჭოს“.

9. „კომიტეტი“ (i) განიხილავს „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და „დირექტორთა საბჭოს“ ხელმძღვანელობის სტრუქტურას „კომპანიის“ კონკრეტული მახასიათებლებისა და გარემოებების გათვალისწინებით და დასამტკიცებლად წარადგენს რეკომენდაციებს „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და „დირექტორთა საბჭოში“ განსახორციელებელი ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, და (ii) განიხილავს „კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და „დირექტორთა საბჭოს“ ხელმძღვანელობის სტრუქტურასთან დაკავშირებით.
10. „კომიტეტი“ განიხილავს „სამეთვალყურეო საბჭოში“ იმ წევრის შემდგომი მსახურების მიზანშეწონილობას, რომლის ვადა ამოიწურა, რომელმაც მიაღწია საპენსიო ასაკს ან რომლის გარემოებები, მათ შორის საქმიანი ან პროფესიული კავშირები ან პასუხისმგებლობები, შეიცვალა.
11. „კომიტეტი“ შეიმუშავებს და გააკონტროლებს „სამეთვალყურეო საბჭოს“ ახლად არჩეული წევრების საორიენტაციო პროცესს და დაეხმარება „სამეთვალყურეო საბჭოს“ მის განხორციელებაში.
12. „კომიტეტი“ რეგულარულად აფასებს განგრძობადი ტრენინგისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადეკვატურობასა და საჭიროებას „სამეთვალყურეო საბჭოსთვის“, „გენერალური დირექტორისა“ და „დირექტორთა საბჭოსთვის“. „კომპანია“ დაფარავს განგრძობად ტრენინგთან და განათლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.
13. „კომიტეტი“ აფასებს და რეკომენდაციას გასცემს იმ პროცესებზე და პრაქტიკაზე, რომელთა მეშვეობით „სამეთვალყურეო საბჭო“ აწარმოებს თავის საქმიანობას, მათ შორის (i) „სამეთვალყურეო საბჭოს“ კომიტეტების სტრუქტურის, დებულების, ხელმძღვანელობისა და წევრობის, და (ii) კომიტეტის წევრის კვალიფიკაციის, დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ.
14. „კომიტეტი“ პერიოდულად აცნობებს „სამეთვალყურეო საბჭოს“ მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ კანონმდებლობასა და კორპორაციული მართვის პრაქტიკაში, ასევე „კომპანიის“ მიერ „კორპორაციული მართვის კოდექსისა“ და მოქმედი კანონებისა და რეგულაციების დაცვის შესახებ და „სამეთვალყურეო საბჭოს“ წარუდგენს ასეთ რეკომენდაციებს კორპორაციული მართვის ყველა საკითხთან და ნებისმიერ გამასწორებელ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომლის შესრულებაც საჭიროა, თითოეულ შემთხვევაში, როგორც ამას „კომიტეტი“ მიზანშეწონილად ჩათვლის.
15. „კომიტეტი“ „სამეთვალყურეო საბჭოს“ წარუდგენს ანგარიშს მისი საქმიანობების, მოკვლევებისა და რეკომენდაციების შესახებ „კომიტეტის“ თითოეული კრების შემდეგ და ოქმებისა და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური პრეზენტაციების მეშვეობით, „სამეთვალყურეო საბჭოს“ აცნობებს „კომიტეტის“ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულების პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.
16. „კომიტეტი“ განიხილავს (საჭიროებისამებრ) და რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ დაამტკიცოს სათანადო დამატებები ან ცვლილებები

„კომიტეტის“ საქმიანობებში, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებში ან წინამდებარე „დებულებაში“.

17. „კომიტეტი“, „კომიტეტის“ საქმიანობების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების და წინამდებარე „დებულების“ განხილვის ხელშეწყობის მიზნით:

- ა. ყოველწლიურად ახორციელებს თვითშეფასებას, მათ შორის შესაბამის შემთხვევაში, გამოკითხავს „სამეთვალყურეო საბჭოს“, „გენერალურ დირექტორს“ და „დირექტორთა საბჭოს“ „კომიტეტის“ როლის შესახებ, შესაძლო ცვლილებების დადგენის მიზნით და შედეგებს განიხილავს „სამეთვალყურეო საბჭოსთან“ ერთად. წინამდებარე „დებულება“ ხელახლა უნდა შეფასდეს შეფასების შედეგების შესაბამისად.
- ბ. განიხილავს და ხელახლა აფასებს წინამდებარე „დებულების“ ადეკვატურობას არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

18. იმ შემთხვევაში, თუ „სამეთვალყურეო საბჭოს“ სრული შემადგენლობის მიერ არ იქნება განიხილება, „კომიტეტი“ „თავმჯდომარესთან“ და „დირექტორთა საბჭოსთან“ ერთად პერიოდულად განიხილავს ხელმძღვანელი პირების მომზადებისა და საკადრო რეზერვის მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებსა და პროცესებს, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში უფლებამოსილების დროებითი დელეგირების საკითხს „გენერალური დირექტორისა“ და „დირექტორთა საბჭოს“ სხვა წევრებისთვის. სულ მცირე ყოველწლიურად და იმ შემთხვევაში გათვალისწინებით, რომ არ არის განხილული „სამეთვალყურეო საბჭოს“ სრული შემადგენლობის მიერ, „კომიტეტი“ განიხილავს ხელმძღვანელ თანამდებობაზე საკადრო რეზერვების გეგმებს „დირექტორთა საბჭოს“ წევრებთან დაკავშირებით და კოორდინაციას უწევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ დამოუკიდებელ წევრებს „გენერალური დირექტორის“ საკადრო რეზერვის / მონაცვლეობის გეგმების განხილვისას. „კომიტეტი“ ასევე რეკომენდაციებს უწევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ შერჩევის პროცესთან და აღნიშნული პოზიციების დასაკავებლად პირების შერჩევასთან დაკავშირებით.

კრებები

„კომიტეტი“ უნდა შეიკრიბოს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროდ ჩათვლის, თუმცა სულ მცირე ოთხჯერ წელიწადში. კვორუმს შეადგენს „კომიტეტის“ კრებაზე დამსწრე წევრთა ორმოცდაათი პროცენტი (50%) ან მეტი.

„თავმჯდომარე“ პასუხისმგებელია დაგეგმოს „კომიტეტის“ ყველა კრება და „კომიტეტის“ წევრებს ყოველი კრების წინ წარუდგინოს წერილობითი დღის წესრიგი.

დასწრება

„კომიტეტს“ შეუძლია „კომპანიის“ ნებისმიერ ხელმძღვანელ პირს ან დასაქმებულს, „კომპანიის“ გარეშე აუდიტორს, „კომპანიის“ სადაზღვევო აგენტს და/ან „კომპანიის“ მრჩეველს სთხოვოს „კომიტეტის“ კრებაზე დასწრება ან სხვაგვარად შეხვდეს „კომიტეტის“ ნებისმიერ წევრს ან კონსულტანტებს. „კომიტეტი“ უნდა შეხვდეს „გენერალურ დირექტორს“ და „დირექტორთა საბჭოს“ სხვა წევრებს ცალკე აღმასრულებელ ხელმძღვანელებზე სულ მცირე ყოველწლიურად ნებისმიერი იმ საკითხის განსახილველად, რომლის განხილვაც სურს „კომიტეტს“, „გენერალურ

დირექტორს“ ან „დირექტორთა საბჭოს“ სხვა წევრებს კონფიდენციალურად. „კომიტეტს“ შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, აწარმოოს დისკუსიები კონსულტანტებთან ან ექსპერტებთან „გენერალური დირექტორის“ ან „დირექტორთა საბჭოს“ სხვა წევრების მონაწილეობის გარეშე.

ოქმები

„კომპანიის“ კორპორაციული მდივანი / ადმინისტრაციული თანამშემწე ან „თავმჯდომარის“ მიერ დანიშნული პირი, რომელიც მოქმედებს მდივნის უფლებამოსილებით კრების მიზნებისთვის, მოამზადებს თითოეული კრების ოქმს და ოქმის ასლს წარუდგენს „კომიტეტის“ წევრებს და „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრებს, რომლებიც არ არიან „კომიტეტის“ წევრები.